ოქმი:**ო03. 3723059001**

თარიღი:**28/02/2023**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2023 წელი, 27 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

14.00 -14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე, მ. ვაშალომიძე, გ. მდინარაძე, ნ. ქარჩავა, ქ. ხომერიკი, რ. დუმბაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-4 კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

ტანამომხსენებელი: გ. ჩაგანავა

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-4 კვარტლის გეგმის შესრულების შედეგებზე, ვრცელი ინფორმაცია კი გააკეთა თანამომხსენებელმა გ.ჩაგანავამ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განსახილველად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი